

ხუცესი მიქაელ სვიმეონწმიდელი

დეკემბერსა :ღ:

**ცხოვრება და მოქალაქობა ჩვილისა და ნაბარისა
გამისა ჩუენისა იოვანე დამასკელისა,
ხუცისა და მონაზონისა***

თარგმნილი არაბულიდან ჩვილისა მიტროპოლიტისა
სამოქალაქისაგან ბარქანთა ენაჲ. სოლო ქართულად
თარგმნა წა ურემ მცირე



წავლის-მოყუარეთა და სმენის-მო-
ყუარეთა კაცთა სიმრავლისათჳს,
არარაჲ არს ესრეთ სასწრაფო და
სასურველ, ვითარ ბრძენთა და სა-
ღმრთოთა კაცთა ცხოვრებაჲ, რაოდენნი სიმკ-
ნით მოღუაწე იყვნეს მართლმადიდებელთა სა-
რწმუნოებისათჳს და ამით იქმნეს საფუძველ
ქრისტეს ეკლესიისა, რაჟამს კლდესა მას ზედა
შეურყეველსა ქრისტესა დააფუძნეს თავნი მათნი
სიტყუთა მით და ცხოვრებითა და საქმითა და სხუ-
თა მრავლითა, რომლითა იგინი უფროჲს სხუათა
განბრწყინდეს. **წმთ** ესევეთართა მოქალაქობაჲ
საძიებელ არს ყოველთა მიერ ზედამიწევნით
გამოცნობად და უფროჲსლა მაშინ, რაჟამს ჟამთა
სიგრძითა დაფარულ იქმნის და არა ეპოვებოდის
იგი აღწერილად წიგნთა შინა, არცაღა თუ ყოვე-
ლი, არამედ კერძოჲ ოდენ რაჲმე განთესულად მი-
მოედებოდის. **წა** ამის მიერ უფროჲს სურვილისა
აღმატყინებელ იქმნებოდის, რაჟამს სხუად სხუთ
წულილადსა რასმე და კნინ სიტყუასა თხრო-
ბით მოკსენებასა შეჰმატებდიან მისთჳს და ოდეს
სხუად არღარა აქუნ სიტყუად, უღონოებისაგან
დააცხრვიან თხრობაჲ და განუკუეთიან სურვი-
ლი იგი მსმენელთაჲ. **ჩამეთუ**, ვითარ იგი მარ-
გალიტნი და თუალნი პატიოსანნი მიმოგანთესულ
რაჲ იყვნენ თითოეულთა ადგილთა, ვერ ესოდენ
სრულ ჰყოფენ ბრწყინვალეებასა და სიხარულე-
ვანსა ელვარებასა, რაოდენ რაჟამს ურთიერ-
თას შემოკრებენ და ფარდელოვნად შეიწყვენენ,
რამეთუ მაშინ უფროჲს მიიზიდვენ სახედველთა
ყოველთასა და შუებულ ჰყოფენ თუალეებსა მხედ-
ველთასა, ეგრეთვე მსგავსად მსმენელთა ახარებს
სიტყუთ შეწყობილი და შედგომითი-შედგომად
წარმოთქმული წარმატებაჲ ღმრთივგანბრძო-
ბილთა კაცთაჲ.

II. **ჩომელთაგანი** ერთი იყო, არამედ ერთი იგი

მრავალთა წილ კმა საყოფელ იყო და ყოველთავე
მონაცვალე, ფრიადი იგი საღმრთოთა შინა და
დიდი მოძღუარი ეკლესიისაჲ **იოვანე**, რომელ-
მან ყოველთა იგი სწავლაჲ გარეშეთაჲ მოიღვაწა.
წა იქმნა თანამეინაჲჲ და თანამოკარგე სახისა
და მოქალაქობისა სიტყუათა და სწავლულებისა
წარჩინებულისა მის სიბრძნესა შინა **კოზმაი**
მაიომაველ ეპისკოპოსისა, რომელი იგი აქუნდა
მოყუას და ზიარ, რომლისა თანა წარვლნა ყოველ-
ნი წერილნი ჩუენნი და გარეშეთა ბრძენთანი, და
მსგავსად მდინარისა მორწყნა ყოვლისა სოფლისა
ეკლესიანი ღმრთისანი ნაკადულითა მართლმა-
დიდებლობისა შჯულთა თჳსთა და საღმრთოთა
მოძღურებათაჲთა. **წმისთჳს** **ოქრონეკტარ** სახ-
ელედგა მას, რამეთუ ჳორციელად შობაჲ სიტყვსა
ღმრთისაჲ ყოვლად-წმიდისა მარადის-ქალწული-
სა **მარიაამისაგან** ზედამიწევნით გამოსახა და გა-
ნაცხადა, და თუთ ყოვლად-უბიწოჲ იგი დედაჲ
ღმრთისაჲ ყოვლითა კერძოჲთა და თითოსახითა
სიტყუთა შესხმისაჲთა და კეთილადშეწყობილე-
ბითა საგალობელთაჲთა შეამკო, რომელთა მიერ
იშუებს და იხარებს სამღვდლოჲ ესე კრებული
ქრისტეს-მოსახელე, და საღმრთისაწაულოთა და
საუფლოთა დღეთა დიდთა კრებათასა ჳეროვნად
შეზავებითა გალობათა მწყობრისაჲთა დატკებების
და განბრწყინდების.

III. **წმას** დიდსა მოძღუარსა **იოვანეს** მამულად
აქუნდა განთქმულებაჲ **დამასკოისაჲ**, ზოლო
მამად **მანსურ** ვინმე სახელით, რომელი გამოი-
თარგმანების **ნიკომაზოს**; კაცი წარჩინებული და
შესწავებული ყოველთა შორის მოქალაქეთა, ვიდ-
რელა იყო იგი განმგე სოფლებსა **დამასკოისასა**,
რომელთა განაგებდა სიმართლით და მოქალაქობ-
და ცხოვრებითა საქმეებითა, რამეთუ უყუარდა
მას სათნოებაჲ და ეშინოდა ღმრთისა და ადას-
რულებაჲ მცნებათა მისთა. **წმას** თანა ფრიადი

* კ. კეკელიძე, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, VII, თბ., 1961. გვ. 153-176.

სურვილი აქუნდა სწავლულებისად. ომისთვისაცა **იოჰანე** უშიშად მავალპყო უფსკრულსა ზედა სიბრძნისასა და წარჩინებულად გამოაჩინა იგი ყოველთა შორის სიბრძნითა და მეცნიერებითა. ოა მოძღურად დაუდგინა მას ფილოსოფოსი **კოზმან კალაგრელი**, რომელი იგი მონაზონებისა მოქალაქობითა შემკობილ იყო. **ხოლო** ნუმცა ვის კოზმანობისა მსმენელსა ზემოთქმული იგი ჰგონიეს **კოზმან**, ეპისკოპოზი **მაიომაძისად**, მსგავსებისათვის სახელთადასა. **ჩამეთუ** იგი ზიარ ოდენ არს **იოჰანეს** სწავლულებისად და თანამეინაჲე სახლელულთა მამისა მისისათად. **ხოლო** ესე სხუად არს, მოხუცებული ჰასაკითა და აღსაგსე სიბრძნითა და მეცნიერებითა, რომლისა მიერ ორნივე იგი ზემოთქმულნი განისწავლნეს ყოვლითა მეცნიერებითა და ზეშთა წარჰკდეს ყოველთა მათთანათა სიმდიდრითა სიბრძნისადთა. **ხოლო** თუ ვითარ იქმნა ესე, ანუ თუ რად არს მიზეზი დიდისა ამის კაცისა ქალაქად **დამასკელთა** მისლვისა, აჰა აწვე გამოაჩინოს სიტყუამან.

IV. **ჰენავეთა** ვიეთმე სიმრავლე არამცირელი მოფარდულთა და სხუათა ნავით-მავალთად კერძოთაგან დასავლისათა მძლავრ წარმოტყუენნეს და დაიმონნეს და მიერ კერძოთა დამასკოდასათა განსყიდად წარმოიყვანნეს. ოა შეპყრობილთა მათ თანა იყო ზემოცსენებულისა ესე კაცი ფილოსოფოსი. ომისთვის შეპყრობილთა მათგანი, რომელისაცა ფასი არავის მოეცის, მყის სიკუდილად განიყვანებოდიან რად პირველ სიკუდილისა შემთხვევისა, შეუვრდებოდიან პირველმოცსენებულსა მას კაცსა, ფილოსოფოსსა **კოზმანს** და ევედრებოდიან ლოცვისა ყოფად მათთვის, რადთა უთხოროს ღმრთისაგან მაღლი მოთმინებისად და შენდობად შეცოდებათად. **ხოლო** ნავის-მბრძოლთა მათ იხილეს რად პატოვი იგი და მოწლედ შვერდომად, რომელ უყოფდეს **კოზმანს** მის თანა ტყუენი იგი და ვითარ ვითარცა ღმერთსა ეკრძალეობდეს, ჰკითხვიდეს მას და ჰრქუეს: «**ნუუკუე** მღდელთა-მთავარი ანუ ზედამდგომელი რადმე ვინმე ხარ შენ ქრისტეს სეხნათად და ამისთვის ესოდენსა პატოვსა ღირს გიჩენენ შენ?» **ხოლო** მან მიუგო: «არცა მღდელთ-მთავარი ვარ, არცა წინამძღურობისა რადსმე ხუედრებული, არამედ მონაზონი ვინმე ვარ უნდომ, მხოლოდ შემეტკობობელი ოდენ სიბრძნის-მოყუარებისად». **უსე** რად ჰრქუა, მყის დიდად რადმე სულთ-ითქუნა და მწარითა გოდებითა ნაკადულნი ცრემლთანი გარდამოსთხინა თუალთაგან თვსთა.

V. **ხომელი** იგი ესრეთ იხილა რად დიდისა

ამის მოძღურისა **იოჰანეს** მამამან **ნიკომაზოს**, მოვიდა მისსა და ჰრქუა: «რადღა გაიძულებს შენ ესრეთ იწროებით სულთქუმად და გოდებად, ჰკაცო. ოა ესე მაშინ, ოდეს მონაზონებისად ვეე გაქუს წესი, ყოვლისავე ამის სოფლისაგან განშორებული». **ხოლო** მან მიხედნა მას და ჰრქუა: «არა თუ მრავალსაღმობიერსა ამას ვიგლოვ საწუთოსა ცხორებასა, რომელსა მრავალსაზენი ჰქონან მიმოქცევანი და თითოფერნი შეცვალებანი, გარნა რამეთუ ფრიადისა სწავლულებისა მეცნიერ ვიყავ და მიწთომილ თავსა სიბრძნისა და მეცნიერებისასა, რომლისა ნაყოფი ვერარად გამოვიდე და ვერდარა მეფლო მიცემად ვისსამე სარგებელსა მისმიერსა და დატყვევად სოფელსა ამას შინა საცსენებელსა ღირსებით საქებელსა».

VI. ომას რად იგი იტყოდა გოდებითა საღმობიერითა, მყის **ნიკომაზოს** მიისწრაფა მთავრისა და ნიჭად თვსსა მიყვანებად **კოზმანისა** გამოითხოვდა. **ხომელი** ესე მიემადლა და სახიდ თვსად წარიყვანა, სიტყვთა ნუგეშინის-ცემისადთა ნუგეშინის სცა და ჰრქუა: «ამიერიითგან მზიარულ იყავ და განიყარე ურვად, რამეთუ ამიერიითგან აღარა ხარ მონა, არამედ გაქუს ცხორებად თავის-უფლებითი და სწორებით ზიარ ჩემდა ხარ მონაგებთა და საცმართა, და ყოვლისავე ჩემდავე მსგავსად ნებისაებრ შენისა მოქმედ სახლსა შინა ჩემსა. **ხოლო**დ ყოველი მოსწრაფება შენი და მოღუაწებად ამას ზედა დადევ, რადთა გორციელსა ამას შეილსა ჩემსა **იოჰანეს** და სულიერსა შეილსა **კოზმანს** დაასწაო ყოველი, რაოდენი გისწავიეს».

VII. **ხოლო** მან ფრად რადმე განიხარა სიტყუასა მას ზედა და, ვითარცა კეთილად მორწმუნე მონად, მყის მორჩილ ექმნა ბრძანებასა მეუფისასა და მოსწრაფებით იწყო სწავლად ზემოცსენებულთა მათ სახელით. **ისამე** და დღე შესძინებნ მათ ზედა-დართვასა წერილთა შემეცნებისასა და ყოველივე, რომელი სხუათათვის უღონო და ძნად სათარგმანებელ არნ, აღუცსინინ და განცხადებულად წარმოუდგინებნ მათ; ვიდრემდის ღრამმატიკოსობად და რიტორობად, ქუეყნის-მზომლობად და მეჰამრეობად, ვარსკვლავთ-მრიცხველობად და ფილოსოფოსობად, და სხუად, რაოდენი რად არს სახე სწავლულებისად, მცირედსა ჟამსა სრულებით დაჰბეჭდა მათ ზედა, ვითარცა საბეჭდავი ცვლსა ზედა. ოა მიერიითგან შთახედავ სცა სიღრმედ წერილთა განუცდელობისა და აღმოგსებად სცა უფსკრული საღმრთოდასა სიბრძნისად. **ჩამეთუ**, ვითარ იგი თქმულ არს, ბუნება მფრინველთა იყვნეს მეცნიერებით

მოსწრაფებითა სიმახვლისადა და სიერცისა ცათადა მიმსგავსებულ სიერცითა გონებათადა. ფეროდსა უბიწოებითა სიწმიდისადა მათ თანა მკვდრად აქუნდა ღმერთი, რომელი ესე ზედამიწეებით ისწავების და იცნობების აღწერილობითა მათა და მართლმადიდებელობისა შჯულთა და სწავლათაგან, რომელნი იგი მათ საზომითა მარცხულდონითა აღწერნეს და ღმერთი-შუენიერებითა კილოებითა შეამკვნეს. ოა თუ ვითარ ესენი მონაზონთა და მოღუაწეთა მოქალაქობასა შევიდეს და ანგელოზებრსა სახესა მოღუაწებით შემოსითა მარადის უმაღლესთა და უზემთაესთა მიმართ აღსლვად სურვილისა მქონებელ იქმნეს და უსრულესთა მათ ღმერთისა საკუთრებათა მოგებად მოსწრაფე იყვნეს, ესე ყოველი ქუმორე სიტყუამან საცნაურ ყოს. ღოლო აწ მოძღურად მათდა უწყებულისა **კოზმადასავე** აღვიდეთ და თხრობისავე მისისა კუალთა შევიდეთ.

VIII. ქამეთუ მან ესევითარითა რად სახითა ზედამიწეებით განსწავლნა ყოველსა დიდი **იოჲანე**, მის თანა მოწაფითურთ და სულისა მიერ წმიდისა ძმით **კოზმანით**, ვითარ იგი პირველ წარმოთქეთ, შემდგომად სრულებით განბრძნობისა მათისა მოუკდა იგი **ნიკომაზოსს**, მამასა **იოჲანესსა**, შეუვრდა მას და მკურგალედ ევედრებოდა განტეგებად თვსსა, რადთა წარვიდეს იგი და დაეყუდოს ლავრასა წმიდისა მამისა ჩუენისა **საბადასსა** და მიერითგანთა ჟამთა გულს-მოდგინედ ჰპონოს ღმერთსა და მადლობასა აღუარებდეს და ულოცვიდეს მათ და იგი უკუე ესრეთ. ღოლო **ნიკომაზოს** მჭმუნვარე იქმნა მას ზედა და თქუა მისსა მიმართ: «ზემთა აღმატებით შემაწუხებ მე, ზ კაცო. ოა ვითარ თავს ვიდუა განყოფად შენი, არამედ ვინაითგან ღმერთისადა გვეულების შეყოფად, რადთა მხოლოდ მხოლოდსა მის თანა იყო, არა წეს-არს დაბრმობად გულსმოდგინებისადა ევე თუალი შენი, გინა ყენებად შენდა კეთილისა საგრობისაგან. წარვედ უკუე მშვდობით და სამარადისოდ მაკსენებელ ჩუენდა იყავ ღმერთისა მიმართთა შინა ლოცვათა შენთა». სრეთ მოიკითხა იგი და მდიდრად განსაგზა. ღოლო იგი ჰმადლობდა ღმერთსა და მას, და მიიწია ლავრად ზემოკსენებულად, სადა იგი მსგავსად სურვილისა თვსისა დაყუდებისა ქონებასა შინა მშვდობით განმცვალებელ იქმნა ამის ცხორებისა.

IX. ოა შემდგომად არამრავლისა ჟამისა **ნიკომაზოსსა** განვიდა ამის საწუთროდსა ცხორებისაგან, ზოლო **იოჲანე** იქმნა მის ჟამისა მის მპყრობელისა **დამასკელთა** მთავრობისადა ზედაწარმწერელ სა-

კუთარ და ზიარ საიდუმლოთა მისთა და ყოველთავე საქმეთა. ღოლო მათ ჟამთა იყო მეფედ **კონსტანტინოპოლისა** სკორის მოსახელე **კონსტანტინე**, რომელმან იგი ყოველნივე ღმერთისა ეკლესიანი აღაშფოთნა, და გამოჩნდა მძლავრ და მწარე მღვარ ყოველთა კეთილად-მსახურთა ქრისტეს ღმერთისა ჩუენისათა, და წმიდათა ხატთა ღმერთისმშობლისა და ყოველთა წმიდათასა ურცხვოებით მბრძოლ. ომას თანა საძაგელ უჩნდეს და საძულელ შემტკობელნი სიბრძნის-მოყუარებისანი, შემოსილნი ხატითა სამონაზნოდთა, რომელთადა დაშავებულ და დაბნელებულ სახელ-სდებდა. ოა ვითარცა ესმა **იოჲანესი** ყოვლითკერძო წიგნებითა ნუგეშინის-მცემლობად და განმამტკიცებლობად ყოველთა შორიელთა და მაზლობელთადა, მსახურთა ქრისტეანეთა შჯულისათადა, რომელთა განცხადებულობითა თარგმანებითა და ზედამიწეებით გამოჩინებითა წინადაუდებდა და გამოუსახვიდა, თუ ვითარ ჯერ-არს პატოვი წმიდათა ხატთადა, და მოწამედ შემოიყვანებდა დიდსა მღვდელთ-მთავარსა **ბასილის**, რომელი იტყვს პატოვსა ხატისასა პირმშოდსა მის სახისა მიმართ წიაღსლვად, — ამის ყოვლისა სმენითა, ვითარცა ემუ მძვწარე, აღილესვიდა მის ზედა კბილთა, ვინადაცა ესევითარი სივერაგე მოიპოვა მის ზედა. ქამეთუ მიუწოდა ყოველთა მწიგნობართა თვსთა, და რაოდენნი ვინ საგონებელ იყვნეს მქონებელ სიმარჯუესა ნაწერით-მამსგავსებელობისასა, და უჩუენა მათ წერილი **იოჲანესი** და უბრძანა, რადთა ზედამიწეებით და კეთილად-გონიერებით მიამსგავსონ კაცსა მას ხატი სიტყვსადა და გონებისადა, და გამოწულილვით მსგავსებითა ჭელისადა დაწერონ წიგნი მაგიერი, ვითარცა შეტყუების შურსა მას მისსა, ქრისტეს-მოსახელეთა ერთა სარწმუნოებისათვს, რომელი იტყოდის რეცა მეფისა მიმართ ესრეთ: «აქანი ესე კერძონი, მკნეო მეფეო, ყოვლად დაუცველ არიან და არავინ არს მათ შორის, რომელიცა წინადაუდგა ზედამოსლვასა მბრძოლისასა შემძლებელ ყოფითა რადისათადა. ზინადაცა აღვილ არს აწ ყოვლისა მნებებელისათვს უფლებად და დაპყრობად ამათი».

X. სე რად და სხუად მრავალი რეცა გალასქრების მაწუეველი მეფისადა დაწერილ იქმნა, მსგავსად ბრძანებისა სამეუფოდსა, ერთი კაცთა მისთაგანი წარავლინა მის ჟამისა მთავრობისა **დამასკელთადა** მქონებელისა მის მიმართ, რომელსა ჭელთ-უდგა მის მიერ შეწმასნილიცა იგი წიგნი ებისტოლესა თანა თვსსა მქონებელსა ესევითარისასა: «ვინაითგან მნებავს სიყუარული-

საჩუენისა სამარადისოდ მტკიცე ყოფად და ჩუენ-
შორისსა ამას მშუდობასა მოუწყლველად ჰყო-
ბად და საკრეველსა სიყუარულისასა დაუქსნელად
დაცვად, ამისთჳს გუთნდა წიგნსა რასმე ჩუენდა
მომართ წარმოცემულსა მწიგნობრისა შენისა
იოჲანესგან, შენისავე მაგის დიდად-გონიერებისა
მომართ კუალად-გებად. **აჲ**ომელი წარიკითხო
რად, მაშინ სცნა უზაკუველი შეუმრღუველობად
სიყუარულისა ჩუენისაჲ შენდა მომართ, და მაგათ
კერძოთა მომართ».

XI. **ს**ვეითარი წიგნი მეფისაჲ მიიღო რად
მთავარმან **დამასკოჲსამან** და ეუწყა ყოველი მის
შორის მყოფი, მყის მისცა იგი **იოჲანეს** და ჰრქუა:
«იცილობა წერილსა ამას, და თუ ვის დაუწერიეს?»
ხოლო მან თქუა: «წერილი ესე, **ჰ** მთავარო, მოყ-
უას წერილისა ჩემისა არს რეცა, არამედ არა ჩემ
მიერ დაწერილ არს ესე. **ს**რცა აქა შინა წერილი
რადმე გამოსრულ არს ოდესცა ბაგეთა ჩემთა;
არცა თუთ წიგნი ესე მიხილავს **სადამე**; არცა
კელად ჩემდა მოსრულ არს, თუნიერ აწდა ოდენ.
იმერთი მოწამე არს». **ს**მისსა შემდგომად მისცა
მას მთავარმან წიგნი იგი მეფისაჲ და მყის, შემ-
დგომად **იოჲანესგან** წარკითხვისა მისისა, უბრ-
ძანა დაკუეთად მარჯუენე კელი **იოჲანესი** და არა
სცა მას ჟამი გამოძიებისაჲ, გინა ჭეშმარიტისა
გამოცნობისაჲ. **ს**რცა ყური მცირედ მიუჰყრა,
სულგრძელებასა რად ითხოვდა **იოჲანე** და ევე-
დრებოდა, რადთა თავსა თჳსსა მოეგოს გამოც-
ნობად ჭეშმარიტებისა.

XII. **ს**რეთ დაჰკუეთეს რად კელი მისი და
დაჰკიდეს შორის ქალაქისა ვიდრე შემწუხრე-
ბადმდე დღისა. **ჰ**ამინ **იოჲანე** ვედრებაჲ მიავლი-
ნა მთავრისა და ჰრქუა: «მრავალსა საღმობასა
ტკივილთასა მოუცავ მე, **ჰ** მთავარო, და რაოდენ
ჟამ დამოკიდებულ იყოს კელი ჩემი და ირყეოდის
ქართაგან, არა აღმისუბუქდების მე ტკივილი. **ს**წ
უკუე გნებაჲს თუ, ბრძანე გარდამოვსნად იგი და
მოცემად ჩემდა, რადთა დაგჰფლა მიწასა შინა;
ნუუკუე და მიერ მცირე ლხინებაჲ ვპოო ტკივი-
ლისაგან და სამარადისოდ ვიყო შენდა მრავლისა
მადლობისა მომცხენებელ». **ხოლო** მან მყის მი-
ანიჭა მას მიცემაჲ კელისაჲ.

XIII. **ა**ომელი იგი მიიღო რად დიდმან **იოჲანე**,
პირდაღმართ განრთხმით დაეარდა ქუეყანასა
ზედა წინაშე ყოვლად-წმიდასა ხატსა ყოვლად-
უბიწოისა ქალწულისა ღმრთის-მშობლისსა და
მკლავსა თჳსსა შეაკრა კელი იგი. **ს**წყო სულთქუ-
მად სიღრმით გულისაჲთ მკურვალეთა ცრემლთა
გარდმოდინებითა თუალთაგან და ესრეთ მკურ-

ვალებით ევედრებოდა: «დედოფალო ყოვლად-
წმიდაო, რომელმან პირველ-საუკუნეთაჲ და
თანადაუსაბამოდ და თანაუჟამოდ სიტყუად ღმ-
რთისაჲ გამოუთქუმელად შეიწყნარე საშოსა
შენსა განკორციელებითა შენგან, გამოუთარ-
გმანებელისა მის ჩუენდა მომართ წყალობისა
და გარდამატებულისა ვიდრე ჩუენდამდე თან-
აშთამომავლობისა მისისათჳს, გვედრები შენ,
ვედრე ჩემთჳს, რამეთუ არა დაფარულ არს შენ-
გან ჩემთჳს მოპოვნებული ესე სიფერაგე. **ა** ვი-
თარ ფრიადისა მისთჳს ჩემისა წინააღმდგომთა
მიმართ ბრძოლისა და წინაგანწყობისა მათისა,
რომელთა წინააღმდგომი ნებაჲ აქუნდა წმიდათა
ხატთათჳს და არა მართლ-ჰმონებდეს უფალსა
ჩუენსა იესუ ქრისტესა, ესევეითარსა ამას ჭირსა
შთავარდი განზრახვითა კეთილის-მოძულისა
მტერისაჲთა. **ს**ერა მოკუეთილსაცა ამას კელსა
ჩემსა განჰპარტებ შენ წინაშე, კუალად აგე ესე
პირველისაჲ სიმრთელისა მიმართ და მოწყალე
იქმენ ჩემდა მომართ, მონისა შენისა. **ს**რუენე ესე
უნაკლულო და მრთელ, რამეთუ ძალ-გიც ყოველი
ძლიერებითა შენგან კორცმესმხულისა ღმრთი-
საჲთა, რადთა განჰყრობითა ამისითა ღმრთისა
მიმართ ვაქებდე დიდებულებათა მისთა და შენდა
მგალობელი ვიყო გალობითა სამადლობელითა».

XIV. **ს**მას რად ევედრებოდა იგი სულთქუ-
მით და ცრემლით გულითა ტკოვნეულითა, მყის
ძილი მოუცდა მას და იხილა ჩუენებით წმიდაჲ
დედოფალი, თუთ მით სახითა ხატისა მისისა-
ჲთა, რომელი იტყოდა **იოჲანეს** მიმართ: «აჰა
განკურნებულ არს კელი შენი და დაცხრომილ
ტკივილთაგან. **ს**მიერთგან ისწრაფე მიცემაჲ
ღმრთისა ლოცვათა შენთა». **ს**ე რად ესმა, მყის
განიდჳბა და იხილა კელი თჳსი განმრთელებუ-
ლი. **ა**ომლისათჳს ფრიადითა მხიარულებითა
ჰმადლობდა და შემსგავსებულსა დიდების-მე-
ტყუელებასა შესწირვიდა ღმრთისა. **ს**ღმრთქუა
უკუე გალობადცა, ღირსებით შეტყუებული გა-
მოუთქუმელსა მას საკურველებასა კელისა მისი-
სა მარჯუენისა განკურნებისასა. **ა** ესრეთ სრულ
ყო ღამე იგი დიდების-მეტყუელებასა და ქებასა
შინა ღმრთისასა. **ა** მიერთგან ეგო იგი დაყ-
უდებით და უდუმებელობითა მასვე ზედაობისა
საღმრთოდ დიდების-მეტყუელებისაჲთა, მუნვე
სენაკსა შინა თჳსსა. **ს**არნა ვერ ეგებოდა დაფა-
რვად ესოდენისა მის საკურველებისაჲ, რომელ
იგი იყო ზეშთა სიტყესა და გონებისა, მხოლოდ
ღუმდით ოდენ განსაკურვებელ.

XV. **ს**მიერ უკუე ეუწყა მთავარსა. **ჴ**ითარმედ

არა მოკუეთილ არს **იოფანეს**და კელი, არამედ მან ქრთამი ოდენ მისცა, და სხუასა ვისმე მის წილ მოეკუეთა მარჯუენად, ხოლო იგი მჯდომარე არს სახლსა შინა და იშუებს ყოვლად-უენებელი. ჴანადცა მიუწოდა მთავარმან და უბრძანა მიპყრობად მარჯუენისად, ხოლო მან განჰმარტა იგი. ოა ვითარცა იხილა მთავარმან ბრძელი იგი მოკუეთილისად, განცვრებულ იქმნა და თქუა მისსა მიმართ: «ვინ მკურნალთაგანმან უძლო ესრეთ კუალად-გებად კელისა შენისად, ანუ რომლისა წამლისა კუმევიტა კუალად შეენაწევრა ეგე მკლავსა შენსა». ღოლო **იოფანე** დიდითა კმითა და მტკიცითა გონებითა ჰრქუა: «ჩემმან ქრისტემან, ჴეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, არსთა ყოველთასა უსაკვრველესმან მკურნალმან, ყოვლისა-შემძლეველმან და არცა ერთისა რადს ყოველთაგანისა წინააღმდეგომ თვსსა მქონებელმან, მან მხოლომან თანაღმობილითა ოდენ მოხედვითა მსწრაფლ განმკურნა მე». ჴუალად მთავარი: «უბრალო ხარ, — ეტყოდა, — უბრალო, და არადთ მოყუას შენდა დაწამებულისა მის, ვითარ ესე აწ საგონებელ მიჩნ, და შორს იტვსა მისგან, რომლისა მეტუელ შენდა ვიქმნენით, რომლისათვსცა შენდობასა ვითხოვთ ჩუენისა მისთვს მსწრაფლ განრისხებისა და შენისა მტანჯუელობისა. წღმოვედ უკუე კუალად პატვისა მას, რომელ გაქუნდა და პირველსავე მას მსახურებასა შენსა აღმავსებელ იქმენ. ჴამეთუ დღესით-დღით-გან არარადს უსმ ვიქმნენთ თანამზრახველობისა შენისა, არცა განკუეებულ ცნობისაგან შენისა».

XVI. ჴარნა **იოფანე** არცაღა თუ ყოვლად ყური მიუპყრა თქუმულთა ამათ, არამედ ფერკთა მისთა შეუვრდა და მრავალჟამ მიწასა ზედა მდებარე ცრემლით ევედრებოდა, რადთა განუტეოს იგი წარსლვად, ვიდრეცა სთნდეს წამის-ყოფასა ღმრთისასა, გლოვად და ტირილად თვსთა ცოდვათ. ოა ვითარცა იხილა მთავარმან ესრეთ ძლიერად პყრობად ფერკთა მისთა **იოფანესგან** მკურნალედ მვედრებელობით და მოქენობით, ძლითდა მიჰმადლა მას თხოვად მისი. ღოლო იგი განტვებულ იქმნა რად მიერ, წარვიდა სახით თვსსა და მყის ყოველი, რაოდენი რად აქუნდა სიმდიდრე თვსი, გლახაკთა განუყო. ოა ესრეთ წარმოვიდა იმრუსალიმად და მიერ მიიწია ლავრად წმიდისა მამისა ჩუენისა **საბაძისსა**, მის თანამოვზაურად ქონებითა ყოვლად-სანატრელისა **კოზმაძისთა**, რომელი იყო თანაზრდილ მისსა, სახლსა შინა მამულსა ზიარ სწავლულებათა და თანამოყუას სიტყუათა. ჴომელთა იგი ვითარცა მქონებელთა

სურვილისათა ზოგად ორთავე მუნ აღიკუეცნეს თმანი სოფლიობისანი და ტკბილი იგი უღელი უფლისად დაიდვეს ქედთა ზედა მათთა.

XVII. ომისსა შემდგომად მოუკდა **იოფანე** მამასახლისსა ლავრისასა და ევედრა, რადთა შეიწყნაროს იგი მონასტერსა თვსსა და შეჰმოსოს მას სქემად მონაზონებისად. ღოლო იგი მზიარულ იქმნა და მიითუალა კეთილი იგი გულს-მოდგინებად და მოსწრაფებად მისი. ოა განთქუმულებისათვს სიბრძნისა და მეცნიერებისა და ნათესავთა წარჩინებულებისა ინება მიცემად იგი ბერთაგანსა ვისმე სრულსა სათნოებითა, რადთა ჯეროვნად ზრუნვიდეს მისთვს და შემსგავსებულად ძალისა ჰმართებდეს მას, და ღირსებისაებრ პატვის ცემდეს და მცირედ-მცირედ აღმატებითა უტკივარად შეიყვანოს იგი წესსა და მოქალაქობასა მონაზონთასა და უჩუენოს ალაგი იგი და გზად დიდთა და უსრულესთა მამათა შედგომისად. ორამედ ყოველნი ზოგად იჯმნიდეს და იტყოდეს: «ვერ შესაძლებელ არს ჩუენდა, რადთა ესევიტარი კაცი, აზნაური და ბრძენი და სათნოებითა შემკობილი, ჩუენსა ამას მოვიზიდოთ ცხორებასა ძნად-აღსავალობითსა და მაიძულებელობითსა, რამეთუ არა დაგუემორჩილოს, არცა ისმინოს ჩუენთა სწავლათა და შჯულის-დებათად».

XVIII. ოა ვითარ იგი ამას ზედა უღონობდა მამასახლისი, მოუკდა მას ბერი ვინმე, ფრიად სულიერთაგანი და კეთილი მოღუაწე მონაზონთა მოქალაქობისად და ჰრქუა: «მე მივიტუალო ეგე, მამაო, და ვითარცა ერთისა მრავალთაგანისა-თვს მზრუნველ ვიქმნე მისთვს». ოსრეთ მიიყვანა იგი და სენაკად თვსსა წარიყვანა; იწყო სწავლად მისსა: «შვილო, — ჰრქუა, — შვილო სულიერო, გიკმს შენ შორს წარდევნად ყოვლითურთ ყოველსავე საწუთროდსა ოცნებასა და დატვეებად ყოველსა იქი და აქა მიმოკუეთებასა, და მისდა ოდენ ღუწად და ქმნად, რომლისა მე მიხილო ქმნად. ომას თანა, ნუ ჰლადოი შენ შორის მყოფისა მაგის სიბრძნისა და მეცნიერებისათვს და სწავლულებათა მაგათ, რომელნი გისწავლიან. ჴამეთუ არარადთ უდარეს მათსა არს სასწავლოდ მონაზონთად, არამედ ფრიადცა რადმე უმეტეს და უმაღლეს არს ფილოსოფოსობად ამათი. ოსწრაფე უკუე მოკუეთად გულის-თქუმათაცა შენთა და წინააღმდეგომსა ჰყოფდ განაზრახვისა შენისასა. ორამედ ნუცაღა რას ჰყოფ ყოვლად თვნიერ ჩემისა თანაზრახვისა და ცნობისა. ჩუცა წიგნებთა რათმე მისწერ ვიეთადმე მიმართ და რაოდენი რად გისწავიეს გარეშეთა წიგნთაგან, ნულარა გნებავს

მოკსენებად, ნუცა რას მათგანსა გამოსლვად ბაგეთაგან შენთა». **სე** რაჲ ჰრქუა და ამცნო მას ბერმან, თავი მოუდრიკა მას **იოჲანე** და ყოვლისავე მისდა ბრძანებულისა დაცვაჲ აღუთქუა.

XIX. **თა** ვითარცა მცირედი ჟამი დაყო მის თანა, ინება ბერმან მან, რადთა გამოცდილებად მიიღოს მორჩილებისა მისისაჲ და ზედამიწვევით მეცნიერ ყოფად, თუ რომელსა ხარისხსა მიწვევულ არს სათნოებათა კიბისასა. **სმისთვსცა** ესრეთ ჰრქუა მას: «მისწავიეს, შევილო სულიერო, ვითარმედ ჩუენ მიერ ქმნული ესე სფერიდები ფრიად სადმე საძიებელ არს **დამასკოს**, რომელნი ესე აწ მრავლად ქმნულ არიან ჩუენ მიერ. **სდღევ უკუე** და წარვედ ზემოთქმულსა მას ქალაქსა, განყიდენ ესე და მოიღე ფასი მათი, რამეთუ საჭიროდ და საჭმრად გუეხმარებიან აწ». **სე** ჰრქუა და განუწესა თითოეულისა მათისა რაოდენობად ფასისაჲ და სიმარჯვთ ორკეცი ფასი დასდვა თითოეულსა. **ჩა**დთა არა მსწრაფლ განისყიდნენ იგინი. **ხოლო** მან ბრძანებისაჲ ბერიისა წარიღო **დამასკოდ** სფერიდები იგი და მრავალგზის ზე და ქუე მიმოავლო ყოველთა უბანთა და ფოლოცთა. **სარნა** ვერცა ერთი მათგანი განყიდა, ვინადთგან სამართალსა ჰმატდა ფასი მათ ყოველთაჲ. **სევეისარისა** მის ტვრთვით-ქონებისა მიმოვლად **იოჲანესი** იხილა ვინმე მსახურყოფილმან ოდესმე მისმან სოფელსა შინა, თანალმოვილ და ტკივნეულ იქმნა სულითა და ვითარცა უმეცარი ვინმე მოუჭდა მას და საძიებელი იგი მისი დაღვა ფასი და წარიღო სფერიდები იგი. **ხოლო** იგი მოიქცა ბერიისაჲ თვისისა შემოკობილი გვრგვინითა ეშმაკისა მძლეობისაჲთა.

XX. **რთისა უკუე** დღესა აღესრულა ბერი ვინმე, მეზობელი **იოჲანეს** სულიერისა მის მამისაჲ, **ხოლო** კორციელად მამა მიცვალებულისაჲ მის, იგიცა მონაზონი, უნუგეშინისცემოდთა გლომთა შეპყრობილ იყო აღსრულებასა მძისა თვისისასა, რამეთუ დღე და ღამე ჰგოდებნ მას და ნაკადულსა ცრემლთასა გარდამოუტევენ წამთაგან თვსთა და უფრომსლა მაშინ, ოდეს იგი კსენებაჲ აღსრულებულისაჲ იქმნის ვისდამე მიმართ. **სევეითარი** იგი კაცი მოუჭდა **იოჲანეს** და ცრემლთ დათხვეით ითხოვდა მისგან შეწყობასა სიტყუათა რათმე ნუგეშინის-საცემელთასა სიკუდილსა მას ზედა მძისასა, რადთა წარმოთქუმიტა და წურთითა მათითა ნუგეშინის-იცემდეს და მიიღებდეს ღზინსა მწუხარებისასა და რადთა მიერთებან დასცხრეს გლომსაგან, ვითარცა ყოვლად უსარგებლომსაგან. **ხოლო იოჲანე** პირველად უკუე ამას მიუგებ-

და: «მეშინის, — ჰრქუა, — და ვძრწი, ნუუკუე გარდავჰკდე მცნებასა ბერიისასა, რომელი იგი მამცნო დასაბამსა, რაჟამს მოვიდოდე მე მონაზონებისა მოქალაქობასა, და ესრეთ ღირს ვიქმნე მიქცევისა და განწირვისა». **სმისსა** შემდგომად მონაზონი იგი მერმეცა დაადგრა ცრემლით ვედრებასა ზედა მისსა და აღუთქუმიდა, რადთა მხოლოდ მარტოდ ოდენ გალობდეს სამკუდროსა მას გალობასა, რომელი შეუქმნას მას ღიდმან **იოჲანე** და არა საანჯმნო ყოს გალობად მისი. **ხოლო** წმიდამან, ვინადთგან თანალმოვილ და მოწყალე იყო სულითა, ღმობიერ იქმნა ესოდენთა მათ ცრემლთა ზედა მის მძისათა და მყის გამოთქუა დასდებელი ესე: «ჴეშმარიტად ამოუბა არს ყოველივე, **ხოლო** საწუთროდ ესე სიზმარ და აჩრდილ. **თა** რამეთუ ცუდად შურების ყოველი მიწით-შობილი, ვითარცა თქუა წიგნმან: რამეთუ რაჟამს ყოველი სოფელი შევიძინოთ, მაშინ საფლავივე დავიმკდროთ. **სადა** იგი შთავლენ ყოველნი ერთბამად: მეფენი და მთავარნი, მდიდარნი და გლახანი. **თინადცა**, ქრისტე ღმერთო, მიცვალებულსა განუსვენე, ვითარცა კაცთ-მოყუარე ხარ». **სე** იგი დასდებელი არს, რომელსა ჩუენ მიერთებან ვიდრე მოაქამოდმე ჩუეულ ვართ თქუმად დაფლვად განყვანებასა მკუდართასა.

XXI. **ჰომელსა** ესე შემდგომად გამოთქუმისა კილო-სდებდა რაჲ **იოჲანე** და გალობდა, დაემთხვა ზედამოსლვად ბერიისაჲ, რომელსა ესმა რაჲ კმად და გალობად **იოჲანესი**, ესრედ იწყო სიტყუად მისსა: «ესვეითარი მიმცნიესა შენდა? ესრეთ გარქუა დატევენად თავისა თვისისა ტირილისაჲ და გალობით მეტყველებად შენდა? ამიერთგან არღარა ჯეროვან არს შენი ესრეთ მქონებელისაჲ მკვდრობად ჩემ თანა. **სმიერთგან** მსწრაფლ განმეშორე ჩემგან». **ხოლო** იგი მძისა მის ვედრებასა, ვითარცა სიტყვს სარგებელად კმა საყოფელსა, წინა უყოფდა და ფერკთა ბერიისათა შეუვრდებოდა და ფრიადთა ცრემლთა დათხვეითა შენდობასა ითხოვდა მცნებისა მისისა გარდასვლისათვს. **სრამედ** ბერი იგი, ვითარცა მრავლისა რაჲს ესვეითარისა გამოცდილებისა მქონებელი, მაშინ სადმე არა შემწყვანარებელ იქმნა ვედრებისა მისისა. **თინადცა** წარვიდა წმიდაჲ ესე აღსავსე ცრემლითა და მწუხარებითა, ვითარ იგი შეეტყუებოდა. **თა** მივიდა ბერთა ვიეთმე მიმართ ლავრისათა, ცოდვაჲ იგი აღუარა და მკურვალედ ვედრებოდა, რადთა მოქენე იქმნენ მისთვს ბერიისა მის მიმართ და უთხოონ შენდობად შეცთომილებისაჲ.

XXII. **ხოლო** იგინი წარვიდეს და ითხოვდეს

მისგან შენდობასა **იოჲანეს** ცთომილებისასა, გარ-
ნა ბერი იგი გარემიაქცევდა სასმენელ ყოფასა
მათისა მის ვედრებისასა და უქმად წარჰგზავნიდა
ძმათა თვსთა, ვიდრემდის ჰრქუა მას ერთმან ვინმე
მისსა მოსრულთაგანმან: «ესრეთ ყოვლად არა
არსა კანონი, გინა პატიჟი, ანუ სიტყვს მიჰდა, 5
რომლითა შეცოდებული იგი განსწავლო და შენდა
მოსრულნი ესე უქმად არა გარემიაქცინე, ვი-
თარცა ყოვლად არაშესაწყნარებელნი». «ჰჲ, —
ბერი მიუგებდა, — ჰჲ, არს, უკუეთუ ოდენ იქმნეს
იოჲანე ზურგით-მტკრთე ძმათა განთხეულისა და
მწმედელ მონასტრისა საუძლურებისა. ოა ამას
ზედა აჩუენოს ფრიადი მორჩილებად და გულს-
მოდგინებად თვისი».

სე რად ესმა ბერთა მათ, მიიქცეს მწუხარე
ქმნულნი ფრიადსა მას ზედა მოუდრეკელობასა
ბერისასა. ღოლო მიქცევასა მათსა წინა დაემთხუა
იოჲანე, თაყუანის სცა მათ და ჰკითხა, თუ ვითარ-
სა თანაღმობით წყალობასა ღირს ქმნულ არს
ბერისა მისგან თვისისა. ჴინი, არა ვესევდითო,
მიუგებდეს, ესოდენ უღმობელ და მოუდრეკელ
ყოფასა მისსა, გინა ჴუმეგვასა ესევითარისა ფიცხ-
ლისა შერისხვისა და განკანონებისასა, რომელი
არავის უჴუმეგვიეს ძუელთა გინა აწინდელთა
ბერთაგანსა ვისმე. ღოლო **იოჲანე**: «და რად არს,
— ჰრქუა, — ბრძანებული იგი მისი?» და იგინი
მიუგებდეს, ვითარმედ: «ესე, რადთა მეტკრთე
იყო ძმათა განაგალისა და მწმედელ სახლები-
სა გარეგანსაგალისა». ჴაშინ **იოჲანე** მდაბლითა
გონებითა და მშვდითა ჴმითა: «საწადელ არს, —
თქუა, — ვითარმედ საწადელ არს ჩემდა კანონი
ეგე, ადვილ და სუბუქ მსახურებად ეგე». ოა მყის
ჴელად-იღო გოდორი და ნიჩაბი და იწყო განწმე-
დად საუძლურესა მას, რომელი იყო მახლობელ
სენაკსა ბერისასა.

XXIII. ჴომელი იგი იხილა რად ბერმან ესრეთ
ადვილად დამრწმუნებელ და გულს-მოდგინებით
საქმედ ჴელმყოფელი, მსწრაფლ მიბრბოდა მისსა
და დააყენა მოქმედებისაგან. ოა ვითარცა მამად
შვილთ-მოყუარე და წყალობის-მოყუარე ორითავე
ჴელითა შეიტკბობდა და თავსა და თუალთა მისთა
ამბორს უყოფდა: «კმა არს, ჰრქუა, შვილო. ჴამე-
თუ აჰა კეთილად წარგიმართებიეს მორჩილებად
და კმა არს ეგე საცხოვრებელად. სმიერითგან
მოვედ სენაკად შენდა და მზიარულებით ჩემ თანა
მყოფობდ». სე რად ესმა მას, მყის შეუდგა, ვი-
თარცა ცხოვარი მწყემსსა. ოა ესრეთ მის თანა
ჰყვანდა იგი მოქცეულსა მას სახით თვისსა ბერსა.

XXIV. ჴომელსა იგი შემდგომად მცირედთა

დღეთა ჩუენებით გამოუჩნდა წმიდად ღმრთის-მშო-
ბელი და ეტყოდა: «რადსა დაგიყოფიეს წყაროდ და
არა უტყვებ განფენად ნაკადულთა მათ ოქრონიე-
ტარისათა. ჴამეთუ ჴეშთა გარდამატებულად ეგ-
ულების **იოჲანეს** შემკობად ეკლესიად ღმრთისად
და სახარულევან ყოფად დღესასწაულებსა და წმ-
იდათა საჴსენებელსა ყოვლად-ბრძნითა მით სი-
ტყუათა მისთა შეწყობილებითა და საგალობელთა
ჴმატებილობითა, რომლითა ყოველნი მორწმუნენი
განანათლნეს. ჴართლმადიდებლობამან შჯულთა
მისთამან და საზოგადოდ საშუებელად ცხოვრები-
სად დაუტყვენს მათ ღმრთიგ-შუენიერნი სწავლანი
თვისნი. ჴინადცა ამიერიითგან უბრძანე მას თქუ-
მად, რადცა სთნდეს, რამეთუ ნუგეშინისმცემელი
და ყოვლად-წმიდად სული იტყვს ენით მისით». 5
ოა ვითარცა დღე იქმნა, იტყოდა ღმრთიგ-სული-
ერისა **იოჲანეს** მიმართ ბერი იგი: «შვილო, ჰრქუა,
შვილო სულიერო, ამიერიითგან იტყოდე, რადცა
რად გონებასა მოგიჴდეს შენ და რადცა გთნდეს.
სრულმყოფელად მართლმადიდებელთა სარწმუ-
ნებისა წერდი და უმეცართა წინადაუდებდი,
რამეთუ ღმერთმან სათნო იჩინა სიტყუად შენდა
და მას თავადსა სთნავს, რადთა ასწავებდე შენდა
მომავალთა. ოადაცათუ მე უმეცრებით დაგაყენე
ვიდრე მოაქამდე, ამიერიითგან მან გასწაოს შენ
თქუმად ყოველივე სათნოდ მისი და რაოდენი რად
შუენის ღმრთეებასა მისსა».

XXV. სრეთ განიჴსნა რად ღუმილისაგან მი-
სისა ყოვლად-ბრძენი **იოჲანე**, ვითარცა განბრძო-
ბილი საღმრთოთა შინა, და ებრძანა სიტყუად და
სწავლად ბერისა მის მიერ, იწყო გამოთქუმად გა-
ლობებსა აღდგომისასა და საუფლოთა დღესას-
წაულთასა და განაწყო დასდებლები სტიქარონ-
თად. ჴინადცა ამათ ესევითართა თანამოქმედ და
თანაგამეგ მისსა იყო ჰირველმოჴსენებული იგი
კოზმა, რომელთა ფრიადი აჴუნდა ურთიერთას
თანაშესწორებად სიტყუათა ჴედა, განზავებული
ნამდვლვე საღმრთოთა სიყუარულითა, ვიდ-
რემდის არცა ერთი რად ოდეს მოუჴდებოდა
მათ გულის-თქუმად რადსამე ჴორციელისა სა-
ქმისად, გინა კაცობრივისა რადსმე მოშურნეო-
ბისად, ვიდრე აღსასრულადმდე ცხოვრებისა მა-
თისა. ჴინადცა საკჴრველი **კოზმა** შემდგომად
მრავალჴამეულისა მის დიდისა **საბაის** ლავრასა
შინა მკჴდრობისა, მუნ მოსლვასა **იზრუესალიმი**-
სა მღელთმთავართასა და ფრიადსა ვედრებასა,
ძლით წარყვანებულ იქმნა პატრიარქისა, და მის
მიერ ჴელნი დაესხნნეს ეპისკოპოსად ჴალაქისა
მაიომამისა, რომელსა **პიმემასცა** ეწოდების. სადა

იგი, ვითარცა ღმერთსა უყუარს, ვერეთ უძღოდა მისდა რწმუნებულსა მას სამწყსოსა საძოვართა მიმართ ცხორებაშემოსილთა. ოა ბრწყინვალედ განაშუენა მისდა რწმუნებული იგი საყდარი ანგელოზთა-სწორითა მით მოქალაქობითა და ცხორებითა; და სიპოხედ ღრმისა სიბერიისა მიწვეული მიიცვალა უფლისა მიმართ.

XXVI. ღოღო ტკბილი იგი სახითა და მოქალაქობითა და ანგელოზთა სწორი **იოფანე**, იგიცა იიძულა პატრიაქისაგან **იჭრუსალიმელისა** და პატრიარქისა ხუცობისასა აღყვანებულ იქმნა. ჩამეთუ მებრვე ამისთვს მიუწოდეს მას **იჭრუსალიმად**, ვინაჲ იგი კუალად უკუმოიქცა რაჲ ლავრად, უმეტესთა ღუაწლთა მისცა თავი თვსი ჩუენებითა უმეტესისა მარხვისა და მოღუაწებისადა. ომას თანა ყოველი ცხოვრებაჲ მისი იყო აღმწერულობაჲ სათნოებათა და მიდევნებაჲ გამომეტყუელებასა წარჩინებულთა კაცთა ცხორებისასა და წმიდათა მოსაგვსენებელებისასა, რომელი იგი ყოველსა სოფელსა განფენილ არს და ყოვლით-კერძო იქად-აგების. ღოღო მართლისა სარწმუნოებისათვს და კორციელად განგებულებისა მამისა თანადაუსაბამოჲსა სიტყვსა ღმრთისა, უკუეთუ ვისმე სწავლის-მოყუარესა და ტკივილთ-მოყუარესა უკმდეს, წარიკითხედინ თქუემულთა მისთა და მაშინ ეუწყოს თუ ვითარი მრავალგზისი ბრძოლაჲ და ძლევაჲ აღუდგინებეს **იოფანეს** მწვალებელთა ზედა, რომელი ესე განცხადნების ხატთა მბრძოლთა და სხუათა ყოველთა ბოროტად-მადიდებელთა განქიქებისათვს, რაჟამს იხილნეს მრავალღონიერად მოპოვნებულნი იგი მისგან შემოკრებანი და განფენანი სიტყუათანი, განცხადებულნი წინადადებანი კითხვათანი და ყოვლად-ბრძენნი აღკვინანი საძიებელთანი, კმაშუენიერებანი საგალობელთანი, სიტყუაპოვნიერებანი საკითხავთანი, მუსიკელობაჲ ორღანოთა მათ კილოებისათაჲ, სირინოობაჲ კმათა მათ ღაღადებისათაჲ. ოომლითა იქმნა გურიტ ეკლესიისა, აედონ მოძღუერებისა, კეთილთა ზუაჲ, საფასეთა ზღუა, დაუღვენელ სერ სულთა, პურ ანგელოზთა, ყოვლისა სოფლისა ტაბლა, სამოთხე წიგნთა, ტაკუკ სიბრძნისა, პირ ქრისტესა, მახულ ორპირ, მართლგანმკუეთელ სიტყუასა მას ჭეშმარიტებისასა და სასიკუდინედ განმგუერემელ გულსა მწვალებელთასა, ისარ ლესულ კელთა შინა ძლიერისათა და თვთ მსგავს ძლიერისა მტყორცებელისა, შორს განმგდებელ ძეთა განყრილთასა. ოომლითაჲ განითქუა არა ეტლთ-მფლობელად, არამედ სიტყუათ-მფლობელად, და პირსა მისსა ვიცნობთ ძუძუდ ეკლესიისა,

მაწოვნებლად სძესა მოძღუერებისასა, ზოლო ღაწუთა მისთა ფიალად ნელსაცხებელთა მადლისათა, რომლითა იქმნა სულნელება ქრისტესა, მიპრონისა მის ჩუენთვს წარმოცარიელებულისა და ღმრთისა კორცთამდე დაგლახა კებულისა. ღოღო ბაგეთა მისთა ჰმოსიეს მეცნიერებაჲ, რომლისა მიერ თაფლ-მდინარეობს სულთა დამტკობებლობასა.

XXVII. ომის ღმერთშემოსილისა მტკიცედ წინაგანწყობასა მტერთა მიმართ სარწმუნოებისათვს კეთილად-მსახურთაჲსა და მკურნალედ მოშურნეობასა მისსა შჯულისათვს მართლმადიდებლობისათა, მრავალნი უკუე და სხუანიცა სიტყვსა ღირსნი მოწამე ექმნნეს და მათ თანა საღმრთოჲ იგი აღმსარებელი ჭეშმარიტებისაჲ — ახალი **სტეფანე**, ნამდვლვე ჭეშმარიტი იგი გვრგვნი ქრისტეს მოწამეთაჲ და სიქადული კეთილად-მსახურთა შესაკრებელისაჲ, რომელი იგი მისდავე მსგავსად წმიდათა ხატთათვს ადგილ-ადგილ დევნად და სიკუდილ განშზადებულთა მამათა მიმართ თქუემულსა მას ნუგეშინის-ცემისა სიტყუასა შინა ესრეთ იტყვს, ვითარმედ: «დიდი იგი მოწამეთა შორის და აღმსარებელი ჭეშმარიტებისაჲ **იოფანე დამასკელი**, რომელსა იგი ბილწი ესე და ჭეშმარიტებით მძღავრი მეფე ბილწად და საძაგელად უწოდს, ნამდვლვე სიწმიდითა და უბიწოებითა ტაძარ ღმრთისა ქმნულსა მას და საღმრთოთა მადლთა მიერ განბრწყინებულსა სულითა, არაოდეს დააკლებს ზედაჲს-ზედა მიწერად და ყუედრებად ხატთ-მბრძოლობასა ამისსა: და ღმრთის-მოძულე და უღმრთო უწოდს მას», და შემდგომი ამისი.

XXVIII. ოსრეთ უკუე, ესრეთ მიმოდითქუა დიდი **იოფანე** და ყოველთა კიდეთა განითქუემულ იქმნა სიბრძნითა და ღმრთისა კეთილად-მსახურებითა. ოინაჲცა მეფეთაჲ წინა აღუდგა და ბოროტად-მსახურთა კადნიერებით ამხილა და აღირჩია ვნებად წმიდათა ხატთა პატივისათვს, რამეთუ ერთობაჲ ვნება და კეთილად-მსახურებაჲ ზედა ერთნება ყოფაჲ წმიდათა ღმრთისა ეკლესიათაჲ. ომისთვსცა ყოვლით-კერძო იქადაგებიან ღუაწლნი მისნი და ვიდრე დასასრულადმდე სოფლისა განსრულ არს კმაჲ სწავლათა მისთაჲ, ვითარცა კმაჲ ქუხილისაჲ დამტკბელი მწვალებელთაჲ და აღმჭურველი მართლმადიდებელთაჲ; რომლისათვს ყოველსა ერსა ქრისტეს-მოსახელესა აქუს იგი ხატად სათნოებისა და კანონად მმართველად სარწმუნოებისა, ქნარად ღმრთივ-მორთულად და ორღანოდ სულისა წმიდისა.

XXIX. ოინაჲცა თანამდებ ჩუენდა არს, ჳ სა-

მდღელო კრებულო ქრისტეანეთო, მარადის ქებით და გალობით ყოვლითავე სახითა შესხმათათა პატივის ცემად და სიხარულით გალობად წმიდასა ამას დღესასწაულსა მისსა. ჩამეთუ ვითარცა დაუწყუდელისაგან და საღმრთოთა წყაროთა არაოდეს დააკლებს იგი მონიჭებად ჩუენდა ღმრთი-შუენიერთა მათ წყალთა ყოვლად-ბრძნისა მოძღურებისათა, რომელთა შინა აქუს თითოს-ახე აღკსნად ყოვლისავე ძნად გულის-ხმის-სა-ყოფელისა და განცხადებული წარმოჩინებად დაფარულთა თარგმანებისა. ჰომელთა მიერ ვითარცა თაფლითა დატკებების გონებად მკუმეველთა სიტკბოებისა მათისათა.

XXX. ჩამეთუ ამით შინა იღუწიდა მრავალ-მოღუაწე იგი გუამი. წმით იშუებდა ანგელოზებრი იგი სული გამოძიებითა სულისა სიღრმეთათა, რომელი იგი ყოველსავე გამოძიებს და თვთ სიღრმესაცა ღმრთისასა. წმით განათლდებოდა ღმრთი-განბრწყინებული იგი გონებად, რაჟამს გონებად ქრისტესი აქუნდა, რომლითა განანათლნა ყოველნი გონებანი, ცის-კილით განყოფითა მადლთა მისთა შარავანდელთათა და ვიდრე კიდემდე ცისა მიმწთომელობითა ქადაგებათა მისთა ელვარებისათა.

XXXI. ო ვითარ ღრმად სიბერედ მიწვეწული განიკსნა ჳორცთა საკრველისაგან და განცვალა სარკისა ესე ზედვად პირისად, და მცირედისა ცნობად სრულებისად, ანაცვალნა შრომათა მოსაგებელნი და ღუაწლთა გვრგვინი, ჳირსა განსუენებად და იწროსა ამას გზასა სასუფეველისასა ფართოებად. ო აწ ზეცათა შინა იქცევის, სამკვდრებელსა შინა მხიარულთასა, ნათლით-შემოსილსა მას შინა ბანაკსა წმიდათასა, კარავსა უფლისასა და მთასა წმიდასა მისსა, სადა იგი დაუცხრომელად უგალობს ღმერთსა სამ-წმიდაობისათა მით გალობითა ქერაბინთათა; დიდების-მეტყუელებს სერაბინთა თანა და ქების-მეტყუელებს ანგელოზთა კრებულსა თანა; მეოხ არს მორწმუნეთათჳს და ითხოვს წყალობასა.

XXXII. წრამედ, ჳ მამაო და თანამოსაგრეო ყოველთა წმიდათაო, ნუ დასცხრები ოხად ჩემისა სიგლახაკისათჳს. ჳიითუალე ჩემი აღმწერელობისადცა ესე მოსწრაფებად, რომლითა ფრიადისა მისგან უფსკრულისა შენთა წარმატებათადა და ურიცხუებისა მრავალთა სათნოებათადა არა ყოველივე უზუად ვწკმე, არამედ მცირედნი ოდენ და კინინი სიტყუანი, ცუარნი თხრობისანი მიმოვსთესენ. ჩამეთუ მხოლოდ ამითიცა ძლითვე უძლე თესლის-მკრეფელობად და ურთიერთას შეწყობით

შემკრებელობად ძუელთა მათგან მოსა ჳსენებელთა პირველთა მამათადა ურთიერთას თხრობისა-გან მონაცვალეთა მათათადა. ო კმა არიან ესენი მეტყუელთათჳს და გამომძიებელთა მოსწრაფებით შემეცნებად შენსა რაბამობასა მეცნიერებისასა და ვითარებასა შენ მიერ მოგებულისა მაგის ჳემმარიტისა სიბრძნის-მოყუარებითისა მოქალაქობისასა. ჩამეთუ მცირედიცა გემოდ-ხილვად ყოვლისავე მის საჳმლისა ვითარება-სა აუწყებნ და კინი ოდენი ფეკჳ სამოსლისად ყოვლისავე შესამოსლისა ქსოვილებასა ცხად ჳყოფნ. ნუმცა ბრალეულ ვიქმნები შენგან, ვითარცა ბრჳალთაგან ოდენ საცნაურ მეოფელი ლომისა ძლიერებისად, გინა აჩრდილის-მწერლობითა ჳელ-მყოფელი წარმოდგინებად ყოველსა ჳაეროვნებასა, შენ მიერ უნაკლულოდ დაცვულისა მაგის საღრმთოთა ხატებისასა. ჩამეთუ არა კადნიერებითი არს და წარმდებებითი კადრებად ესე, არამედ სარწმუნოებითი და მოშიშებითი. ჩამეთუ შენდა-მიმართმან სურვილმან აღმატყინა მე, რამთა მცირედი ესე ჩემისა ამის უნდოთა და უსწავლელებისა სიტყუა-ლიტონობისა მიერ შეკრებული სიტყუად წლითი-წლად წარიკითხვოდის სახარულეგანსა ამას დღესა, წმიდისა ჳსენებისა შენისასა, სიხარულად და საშუებელად მედღესასწაულეთა ერთა, და ყოველთა მიერ სადიდებელად და სამადლობელად წმიდისა და ერთარსისა სამებისა, რომელმან შენ სიხარულ-გყო ყოვლისა სოფლისა, ვითარცა ჳემმარიტებით ღმრთის-მეტყუელები მისი და ქადაგი და მასწავლელი ყოველთად დიდებად და ქებად, პატივად და თაყუანის-ცემად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და ყოველთა საუკუნეთა მარადის უკუნისამდე, ამინ.

XXXIII. ზოცვა ყავთ, ქრისტეს-მოყუარენო, **იოანესითჳს**, მდღელისა და მონაზონისა, რომლისა ბრძანებითა მე უღირსმან **ეფრემ მცირე-მან** ვთარგმნე ბერძულისაგან მცირე ესე ცხორებად დიდისა **იოანე დამასკელისად**, აწდა ჩუენთა ჟამთა სურვილით აღწერილი **მიქაელისგან** ზუცისა **სუმეონწმიდელისა**, სამადლობელად ტყუეობისაგან ჳსნისა მისისა. ჩამეთუ დეკნბერსა ერთსა შემოსრულთა თურქთა სულემანელთა ამას დღესა დაიპყრეს ქალაქი და მთით ჩამოასხეს ერი დღესასწაულსა ამის წმიდისა **იოანე დამასკელისასა**, ოთხსა მისვე დეკნბერისასა. ჰომელთა თანა უვნებელად დაცვულსა მას ზემო ჳსენებულსა **მიქაელ** ზუცესსა **სუმეონწმიდის** ძმასა და მაშინ ქალაქს დახუდომილსა აღეწერა ესე საკითხავი

არაბულსა ენასა ზედა; ვინად იგი ბერძენთა ენად გამოთარგმნა და შეამკო **სამოელ** წმიდამან მითროპოლიტმან **ადანაელმან**; რომელი ესე აწ ქართულად ითარგმნა ლოცვითა ბერთა ჩუენთა

საბაძს და **ანტონისითა**, ბრძანებითა და საკმრითა **იოჲანე** ზემოცსენებულისა და **კურიკეს** ზუცად შესწავებულისადათ. უფალმან მიეცინ მადლი შრომისა და წარსაგებელისაჲ.

